KA000015263060422

სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის

ბრძანება

№ 1-1/2 **24 / ივნისი / 2022 წ.**

„ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე №11 არეალში მდებარე მიწის ნაკვეთებისა და მომიჯნავე ლანდშაფტური ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 11.06.21 წლის N61/ო ბრძანებით დამტკიცებული პირობისაგან განსახვავებული პირობების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1.

„საქართველოს სივრცის დაგეგმვის, არქიტექტურულ და სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის ((საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13/05/2022, სარეგისტრაციო კოდი: 330090000.05.001.020556)) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის № 260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე №11 არეალში მდებარე მიწის ნაკვეთებისა და მომიჯნავე ლანდშაფტური ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2021 წლის 11 ივნისის № 61/ო ბრძანებით დამტკიცებული პირობისაგან განსახვავებული შემდეგი პირობები:

ა) განაშენიანების დეტალური გეგმა შემუშავებულ იქნეს ამ ბრძანების დანართი № 1-ით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულებისთვის, ამავე ბრძანების დანართი № 2-ით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის დავალების შესაბამისად;

ბ) განაშენიანების დეტალური გეგმა შემუშავებულ იქნეს ამ ბრძანების მიღებიდან 36 თვის ვადაში.

2. შესაბამისი ცვლილება იქნეს შეტანილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და დაინტერესებულ პირ ნიკოლოზ მეტრეველს შორის გაფორმებულ 2021 წლის 16 ივნისის №3/21 ადმინისტრაციული ხელშეკრულებაში, ამ ბრძანებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ეს ბრძანება, შესაბამისი თარიღიდან, ჩაითვალოს ძალადაკარგულად და შეწყვეტილ იქნეს ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

4. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, № 6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2.

ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ენუქიძე